ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ნაპ.საპრ N1-16

ქ. თბილისი 05.07.2016 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ შიშინაშვილის სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორე მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 24 ივნისის განკარგულება N1841 (SMP160001692) და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 20 ივნისის N4450-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს <u>**გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (შპს „რუსთავის აზოტი“-ს შლამშემკრებთან) ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების**</u> შესყიდვა – შემდგომში მომსახურება.

1.2 **CPV კოდი:** 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება

2. <u>ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1 ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს - <u>**19 467,00 (ცხრამეტი ათას ოთხას სამოცდაშვიდი) ლარს.**</u>

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.

2.6 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლის 2.17 და 2.18 პუნქტებით განსაზღვრული ვადის ფაგლებში, საპროექტო მომსახურების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.

2.7 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ზემოხსენებული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.

2.8 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.9 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული,

შემსყიდველი ..... მიმწოდებელი.....

გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.10 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით.

2.11 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A * (X\% - Y\%)}{70 - 20}$$

სადაც:

Z - გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A - წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X - წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y - არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.12 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 2.8. პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.13 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

2.14 წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ, გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულების 10%.

2.15 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულების 10%, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან 2 (ორი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი), გარდა იმ შემთვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.

2.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.17 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულების 10%, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან 2 (ორი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი), გარდა იმ შემთვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.

2.18 საგარანტიო პერიდში (2 (ორი) წლის განმავლობაში) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების დაკავებული ღირებულების პროპორციულად.

2.19 თუ საგარანტიო პერიოდში სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტი ან ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ ხარვეზს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო

მომსახურების ფარგლებში დაკავებული თანხა გამოვლენილი ხარვეზის ღირებულების პროპორციულად. ამასთან, თუ აღმოჩნდება რომ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა არაა საკმარისი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.20 თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში დაკავებული თანხა (10%-ის ოდენობით) სრულად.

3. <u>მომსახურების შესაბამისობა</u>

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, აგერთვე ტექნიკური დავალებით (დანართი N1) გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილია.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 22 აგვისტოს პერიოდის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. (ბ) პუნქტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

4. <u>მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1 მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.3 საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების განხორციელების პერიოდში, შემოწმების ან/და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4.5 გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

4.6 ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

4.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

5. <u>მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 8 აგვისტოს ჩათვლით;

გ) საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურება დანართი N3–ის შესაბამისად.

დ) მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრილების პირობებისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად;

ე) მიმწოდებელი ვალდებულია, პროექტირების პორცესში, წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას გაუწიოს მითითებები და რეკომენდაციები განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესახებ;

ვ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა;

თ) საჭიროების შემთვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

ი) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

კ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ლ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარმოადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

ბ) მიმწოდებლის მიერ დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის, განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, გაიტანოს ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად.

5.3 ხელშეკრულებით და საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

6. <u>ფორს-მაჟორი</u>

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

7. <u>პასუხისმგებლობა</u>

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის საგარანტიო პერიოდში, (საპროექტო მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა, არასრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა, სუბკონტრაქტორის აყვანის პირობების დარღვევა და სხვა) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ღირებულების 3% (სამი პროცენტი), მაგრამ არანაკლებ 1 000.00 (ათასი) ლარისა.

7.2 წინამდებარე მუხლის 7.1. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამატეხლოს ერთი თვის ვადაში გადაუხდელობის შემთვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% (ხუთი პროცენტი), მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. <u>ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გამოიწვია საგზაო სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ);

გ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

ე) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ვ) მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულების პირობებითა და ტექნიკური დავალებით გათვალიწინებულ ვადებს;

ზ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

თ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

9. <u>სამართლმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა</u>

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10. <u>ქვეკონტრაქტორები</u>

10.1 მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

შემსყიდველი .....

მიმწოდებელი.....

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

10.3 ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

10.4 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

11. <u>შეტყობინება</u>

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. <u>ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</u>

12.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს.

12.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

12.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

13. <u>სხვა პირობები</u>

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების

13.4 შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.5 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევასი დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.7 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.8 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.9 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი ..... მიმწოდებელი.....

13.10 წინამდებარე ხელშეკრულების ტექნიკური დავალება, თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14. <u>ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულბის მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

15. <u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:</u>

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის #200122900.

ხელმოწერა _____ მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „პროექტირება მშენებლობა ექსპერტიზა“ იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. N20, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბ/კ TBCBGE22, ანგარიშის GE 32 TB 7987 5360 1010 0001, საიდენტიფიკაციო კოდი 404 421 504.

ხელმოწერა _____ თამაზ შიშინაშვილი

ბ.ა.

ტექნიკური დავალება

1.1 ზოგადი ნაწილი

1.1.1 გრაფიკული და ტექსტობრივი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე;

1.1.2 წინამდებარე ტექნიკურ პირობებში და დავალებაში მოცემულია მითითებები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს "მიმწოდებელმა", რათა დამუშავდეს ოპტიმალური ფასის მქონე მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

1.1.3 გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ხვედრითი წონით და გამოსახულ უნდა იქნეს ლარებში.

1.2 მომსახურების სახელწოდება და შემადგენლობა

1.2.1 გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (შ.პ.ს „რუსთავის აზოტი"–ს შლამშეკრებთან) ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების გაწევა.

1.2.2 მთლიანობაში, შესყიდვის ობიექტი უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მდგრადობის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებას, მ.შ:

(1) სანაპირო ზონაში წყლის ნაკადის რეგულირებისა და ნაპირების საინჟინრო დაცვის საპროექტო სამუშაოებს;

(2) სანაპირო ზონაში ეროზიული პროცესების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და ნაპირქანების ქიმიურ-ფიზიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების ასახვას;

(3) მოსალოდნელი პროცესებით გამოწვეული საშიში შედეგების პრევენციული ღონისძიებების ასახვას და რეკომენდაციების დამუშავებას;

1.2.3 საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურების გაწევა:

(1) საპროექტო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;

(2) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;

(3) ტომებად, წიგნებად ეგზემპლარების აკინძვა;

(4) პროექტის კორექტირება;

(5) გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;

(6) სარეაბილიტაციო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა.

1.3 დავალების ზოგადი პირობები:

1.3.1 მიმწოდებელს მოეთხოვება ტენიკური დავალებით განსაზღვრული - სანაპირო ზონაში ნაპირსამაგრი ნაგებობებების მოსაწყობად საჭირო საკვლევაძიებო სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება.

1.3.2 პროექტის წარდგენის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში.

1.3.3 ნაპირსამაგრი ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე ტოპო-გეოდეზიურ საკვლევაძიებო სამუშაოებს, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესწავლას, მონაცემების კამერალურ დამუშავებას, პროექტირებას, მშენებლობის ორგანიზაციას, ხარჯთაღრიცხვასა დოკუმენტაციის შედგენას.

1.3.4 სანაპირო ზონის მდგომარეობის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული მორფოდინამიკური რეჟიმის სტაციონალური პირობების შენარჩუნების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

(1) საპროექტო მომსახურება შეასრულოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

(2) საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

(3) პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

1.4 მომსახურების გაწევის ადგილი

1.4.1 მომსახურების გაწევისათვის მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე და ხელსაწყოებზე.

1.5 მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

1.5.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს მიღებული ნაპირსამაგრი ღონისძიებების პროექტების ეფექტურობა.

1.6 კუთვნილება

1.6.1 ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

1.6.2 მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

1.6.3 შემსყიდველის მითითებით მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის სრული მოცულობის ელექტრონული pdf და dwg ვერსია.

1.7 საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

1.7.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების რაოდენობა:

(1) საპროექტო დოკუმენტაცია - 3 ეგზ.;
(2) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 2 ეგზ.;
(3) სატენდერო დოკუმენტაცია – 4 ეგზ.
(4) ელ.ვერსია - 2 ეგზ.

გასაწევი მომსახურება და ტექნიკური სპეციფიკაციები

1.8 გასაწევი მომსახურება:

1.8.1 მომსახურების სახეობა:

ა) საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
ბ) საპროექტო სამუშაოები;

1.8.2 საჭირო შემთხვევაში დამატებითი მომსახურების გაწევა:

ა) საპროექტო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;
ბ) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
გ) ტომებად, წიგნებად ეგზემპლარების აკინძვა;
დ) ტექნიკური დავალებით განსაზღვრული რთული ობიექტების საავტორო ზედამხედველობა;
ე) პროექტის კორექტირება;
ვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
ზ) განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა.

1.9 სპეციფიკაციები

1.9.1 გასაწევი საპროექტო მომსახურება ეყრდნობა ადგილობრივ კლიმატურ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და მრავალწლიანი დაკვირვებების პირობებს.

1.9.2 საველე-საკვლევაძიებო სამუშაოები:

- ადგილმდებარეობის რეკოგნოსცირება და საჭიროების შემთხვევაში მიყენებული ზარალის დადგენა;
- სანაპირო ზონის დაზიანებული მონაკვეთის შემოხაზვა, რომელსაც სჭირდება გადაუდებელი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ჩატარება;
- რეგიონის შესწავლა: გეოლოგიური, ჰიდროლოგიური მაჩვენებლების ანალიზი, საპროექტო მონაკვეთზე მდინარის, რეგიონის მაცხოვრებლების მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შესწავლა;
- ადგილმდებარეობის ტოპოგეოდეზიური გადაღება;
- საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დადგენა;

- საჭიროების შემთხვევაში მდინარის და მიწისქვეშა წყლების ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა, მდინარის და გრძელვადიანი წყლის დონის მერყეობის დადგენა (მაქსიმუმი-მინიმუმი) და ა. შ.;
- ადგილობრივი მასალების მარაგების დადგენა.

1.9.3 კონსტრუქციული ღონისძიებები

- სანაპირო ზონის ნაპირსამაგრი ღონისძიებები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლება:
  (1) დამცავი ყრილის მოწყობას გრუნტის მასალიგან საჭირო ქანობის დაცვით მშრალ ადგილებში ან წყალში ჩაყრით;
  (2) შესაბამისი ზომის ქვის ნაყარი მოწყობას ფერდობზე;
  (3) ნაპირის ფერდობის გამაგრებას ბალახის დათესვით;
  (4) სანაპირო ფერდის მოშანდაკებას ქვით საყრდენში რისბერმის მოწყობით;
  (5) ფერდობების დაცვას მონოლითური ბეტონით შესაბამისი კბილის მოწყობით;
  (6) ფერდობების დაცვას ანაკრები რკინაბეტონის ფილებით შესაბამისი კბილის მოწყობით;
  (7) ნაპირის გამაგრებას ბეტონის დეზებით;
  (8) ნაპირის გამაგრებას გაბიონებით;
  (9) ნაპირის დაცვას რკინაბეტონის ან ლითონის შპუნტებით;
  (10) საყრდენი კედლების აგებას ქვით, ბეტონით, რკინაბეტონით საძირკველში ხიმინჯების გამოყენებით ან ბუნებრივ ფუძეზე მოწყობით;
  (11) სანაპირო ზონების გაწმენდას მონატანებისაგან;
  (12) ზღვის სანაპირო ზონების გამაგრებას საყრდენი – ტალღამრეკლი კედლითა და ბუნებით (ნატან შემაკავებელი ზღუდარებით);
  (13) სანაპირო ზონების გამაგრებას წყალქვეშა და წყალზედა ტალღმტეხი საშუალებებით;
  (14) სანაპირო ზონების დაცვას ხელოვნური პლაჟების მოწყობით (სანაპირო ზოლში ნატანის შეტანით);
  (15) როგორც აუცილებელი ღონისძიება - ყველა საჭირო შემთხვევაში სანაპირო ზონებში წყლის ნაკადისა და ტალღური რეჟიმის რეგულირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შესრულება.

1.10 ეკოლოგია და ბუნების დაცვა

1.10.1 საქართველოს კანონის "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა არ საჭიროებს გ.ზ.შ-ს, მოამზადოს გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმა და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას გრუნტისა და ინერტული მასალის დასაწყობების ადგილი. აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას პროექტის ფარგლებში ხე-მცენარეებით დაკავებული ტერიტორიის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, მისი ამორიცხვის ან მოჭრის ნებართვის მისაღებად.

1.11 ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები

1.11.1 რეკომენდირებულია და მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის დადგენილებებით:
  (1) #45 24.02.2006 წ. - „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ";
  (2) #52 14.01.2014 წ. - „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ".
  (3) #409 18.06.2014 წ. - „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიერებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

1.11.2 დამატებითი ინფორმაცია:

- საჭიროების შემთხვევაში პროექტის შესრულების ვადის კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
- იმ შემთხვევაში, თუ ობიექტებზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადა სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადას, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე (საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით), მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;
- საჭიროების შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობის

შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ტენდერით განსაზღვრული მოცულობის შეუსრულებლობის გამო;

- ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

შემსყიდველი:

ხელმოწერა _____ მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა _____ თამაზ შიშინაშვილი

ბ.ა.

დანართი N2

ფასების ცხრილი

N	საპროექტო ობიექტის დასახელება	სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება ყველა ხარჯისა და გადასახადების გათვალისწინებით (ლარი)				
		ერთეული ღირებულება	გაუთვალისწინებელი ხარჯები (3%)	ჯამი	დღგ (18%)	სულ ჯამი
1	გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (შპს "რუსთავის აზოტი"-ს შლამშემკრებთან) ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების გაწევა	16 016,95	480,51	16497,46	2 969,54	19 467,00
	სულ ჯამი:	16 016,95	480,51	16497,5	2 969,54	19 467,00

შემსყიდველი:

ხელმოწერა _____ მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა _____ თამაზ შიშინაშვილი

ბ.ა.

დანართი N3

ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ

დამატებითი მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეული	ფასი
საპროექტო დოკუმენტაციების დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება	1 ფურცელი	ლარი	0.10
ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	12.00
დამატებითი ეგზემპლიარების ტომებად, წიგნებად აკინძვა	1 წიგნი	ლარი	100.00
პროექტის კორექტირება16	სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან	%	1.80
თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით	გვერდი	ლარი	10.00
გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	12.00
სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, არა უმეტეს საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრულისა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	10.00

შემსყიდველი:

ხელმოწერა _____ მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა _____ თამაზ შიშინაშვილი

ბ.ა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 5 ივლისი 2016 წელი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“) შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მიმწოდებელი: შპს ,,პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა”

ხელშეკრულება ნაპ.საპრ N1-16

მაია ქალიაშვილი		დემურ ჯაგაშვილი	
შალვა ჯულაყიძე		დავით კალაძე	
ფიქრია კვერნაძე		თეიმურაზ კაპანაძე	
თათია კიპაროიძე		ხატია ამილახვარი	